4. სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შიდა ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების უზრუნველყოფის მექანიზმი

სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასების საორიენტაციო სქემა არის შემდეგი:

თვითშეფასება-დაგეგმვა-განხორციელება-შეფასება-გადახედვა.

შემუშავებულია ხარისხის მართვის პროგრამა.

ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორია წამყვანი მასწავლებელი ნანული ქათამაძე.

ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემა მოიცავს მოსწავლეთა, ჩარიცხვის, მოსწავლეთა მხარდაჭერის, სწავლებას საკლასო ოთახებში, ონლაინ პლატფოტრმაზე, შეფასების სისტემას, საკლასო ცხოვრებაში მშობელთა ჩართვას, სააღმზრდელო საქმიანობას, გაკვეთიგარეშე საქმიანობას. დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებას და მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას.

ჩამოყალიბებულია ხარისხის კულტურის განვითარების საკითხები.

პროგრამა ითვალისწინებს დაგეგმვას მიღწეული შედეგების გათვალისწინებით. ამ მიმართულებით შემუშავებულია მასწავლებელთა საჭიროებების კვლევის კითხვარი, თვითშეფასების შედგენისათვის საორენტაციო კითხვარი, რეფლექსიის შემადგენელი კითხვარი, კომპლექსური დავალების თვითშეფასების კითხვარი და სხვა. სკოლაში ანგარიშების სისტემა ხორციელდება შემუშავებული ფორმით, რომელშიც განსაზღვრულია ვინ-ვის და რა პერიოდულობით აწვდის ინფორმაციას, რა ფორმატით, რა მოცულობითაა ინფორმაცია წარმოსადგენი და ა.შ. ამგვარი ფორმა ეფექტური გამოდგა ონლაინ სწავლების პირობებშიც.

შემუშავებულია სასწავლო გეგმის შეფასების მეთოდოლოგია, ჩამოყალიბებულია შეფასების პრინციპები, განსაზღვრულია პერიოდულობა, შეფასების საგანი, შეფასების ფორმები, რამაც ხელი შეუწყო სასწავლო გეგმის შეფასების გამჭვირვალობას.

ხარისხის გაუმჯობესებისაკენ მიმართული ღონისძიებები ეფუძნება არსებული მდგომარეობის ანალიზს.

შემუშვებულია კითხვარები მასწავლებელთა საჭიროებების კვლევისთვის, კომპლექსური დავალებების თვითშეფასებებისთვის და სხვა. ეფექტური

გამოდგა მასწავლებელთა თვითშეფასების გარკვეულ პრობლემაზე, მაგალითად „მესამე თაობის ე.ს.გ დანერგვასთან მიმართებაში თვითშეფასება“, ასევე ანგარიშების წარმოდგენა მაგალითად „განმავითარებელი შეფასების საგაკვეთილო პროცესში გამოყენების შესახებ მასწავლებლის ანგარიში“.

ხარისხის განვითარების კორდიონატორი თვითონ ან სხვების ცართულობით აკეთებს თვითშეფასებებს, ანგარიშებს, ანალიზს, რომელიც გამოყენებულია პროგრამის განვითარებისთვის.

ხარისხის მართვის პროგრამა

ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი წამყვანი მასწავლებელი

ნანული ქათამაძე

ორიენტირი: თვითშეფასება- დაგეგმვა- განხორციელება- შეფასება- გადახედვა

პრიორიტეტი: განვითარების დაგეგმვა მიღწეული შედეგების გათვალისწინებით

ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემაში შედის:

1. მოსწავლეთა ჩარიცხვა;
2. მოსწავლეთა მხარდაჭერა;
3. სწავლება (საკლასო ოთახებში, ონლაინ პლატფორმაზე);
4. შეფასების სისტემა;
5. სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართვა;
6. სააღმზრდელო საქმიანობა;
7. გაკვეთილ გარეშე საქმიანობა;
8. დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება;
9. მასწავლებელთა პროფესიული განვითარება

ხარისხის კულტურის განვითარებისთვის

- ხარისხის უზრუნველსაყოფად საქმიანობა განიხილება, როგორც სტრატეგია და სასკოლო მართვის განუყოფელი ნაწილი, განხორციელდება თანამშრომლობით, სიახლეების დანერგვის მზაობით, სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობით;
- ფოკუსირება თვითშეფასებაზე და განვითარებისათვის მისი გამოყენება;
- ფოკუსირება კვლევების შედეგებზე, (კვლევის პროცედურა მოიცავს: კვლევის მიზანი, მეთოდები, მონაცემთა შეგროვება, შედეგების ანალიზი და შეფასება). რე9კომენდაციების შემუშავება და გაზიარება კვლევაში ჩართულ მხარეებთან. კვლევის შედეგების გამოყენება ვითარების გაუმჯობესებისათვის.
- გუნდურ თანამშრომლობაში კვალიფიურ და დაინტერესებულ პირთა ჩართვა.
- ცვლილებების შეტანისთვის დამადასტურებელი არგუმენტების ერთობლივად შემუშავება, მათთან ერთად, ვისაც ცვლილებების განხორციელებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება.

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისათვის

პასუხისმგებელი: ნ. ქათამაძე

- მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის მიზნით საგნობრივი თემატური პროგრამის შედგენისათვის გუნდის შექმნა და სიტუაციური ლიდერთა აჩევა.
- სიტუაციურ ლიდერთა საქმიანობაზე მონიტორინგის განხორციელება და შედეგების გამოყენება გაუმჯობესებისათვის.

მოსწავლეთა ჩარიცხვა

პასუხისმგებელი: ც. ბერიძე

მოსწავლეთა ჩარიცხვის წესების დაცვის ვითარებაზე დაკვირვება:

ა) რატომ ირჩევენ ჩვენს სკოლას, რა მოლოდინები აქვთ;

ბ) როგორია სკოლასთან ადაპტაციის პირობები;

გ) რამდენად უზრუნველყოფილია უსაფრთხო მგზავრობა;

დ) რა კეთდება მშობელთა მოლოდინების გამართლებისათვის.

მოსწავლეთა მხარდაჭერა

პასუხისმგებელი: ი.აბულაძე

- მოსწავლეთა განსაკუთრებული ნიჭისა და შესაძლებლობების განვითარებაზე ზრუნვის ხარისხის შესწავლა და შედეგების მიხედვით შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა.
- დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების მიმართ მოსწავლეთა დამოკიდებულების შესწავლა და შემდგომი განვითარება.
- სხვადასხვა სახის კონკურსებსა და ოლიმპიადებში მოსწავლეთა ჩართულობის და შედეგების ხარისხის განხილვა.
- მოსწავლეთა წახალისების ფორმების შემუშავება საკლასო და სასკოლო დონეზე.
- ხანგრძლივი არდადეგებისა და ონლაინის სწავლების შემდეგ საკლასო ოთახში დაბრუნებულ მოსწავლეთა მხარდაჭერისათვის კვლევის ჩატარება.

სწავლება საკლასო ოთახსა და ონლაინ პლატფორმაზე

პასუხისმგებელი: ნ.ქათამაძე, ი. აბულაძე

- სწავლების პირობებისადმი მოსწავლეთა მხარდაჭერისთვის ჩატარებული კვლევის შედეგების შესაბამისი საქმიანობის განხორციელება კლასის დამრიგებლებისა და საგნის მასწავლებლეთა მიერ.
- ონლაინ პლატფორმაზე სწავლებისათვის მზაობის ხარისხის შედგენა

  ა) კვლევით - მოსწავლეთა მზაობა;

  ბ) თვითშეფასებით- მასწავლებელთა მზაობა.
- დისტანციური სწავლების ხარისხის ამაღლებისათვის ღონისძიებათა შემუშავება.

- სწავლების/ სწავლის მეთოდებისა და სტრატეგიების კატალოგის შედგენა სასწავლო საგნების მიხედვით.
- თემატური მატრიცის გამოყენების შედეგები.
- დაბალანსება: თემების მიხედვით სასწავლო დატვირთვა- სწავლის შედეგები- შეფასება.

დისტანციური სწავლების ხარისხის ამაღლების ღონისძიებები

პასუხისმგებელი:

ნ. ქათამაძე

- დისტანციური სწავლის გასული სასწავლო წლის გამოცდილების ანალიზის [ძლიერი და სუსტი მხარეების] შედეგების გათვალისწინება;
- დისტანციური სწავლებისთვის მასწავლებელთა და მოსწავლეთა მზაობის ხარისხის დადგენა [მეცადინეობაზე დასწრებით, ინტერნეტთან წვდომა, კომპიუტერული ტექნოლოგიების არსებობით];
- კიბერუსაფრთხოების დაცვის მდგომარეობა;
- მოსალოდნელი პრობლემის შემთხვევაში ალტერნატიული ფორმების შეთავაზება [ინტერნეტის შეფერხება, წვდომა, გარემო პირობები, ჯანმრთელობის მდგომარეობა და სხვა];
- მეთოდური სემინარის ჩატარება თემებზე:
  ა) სინქრონული სწავლება;
  ბ) ასინქრონული სწავლება;
- მასწავლებლებისთვის ტრენინგი თემაზე: „ ციფრული ინსტრუმენტები სწავლება/ სწავლის ხარისხის ამაღლებისათვის“;
- გამოკითხვა დისტანციური სწავლის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენის შედეგების გათვალისწინებით საქმიანობის გასაუმჯობესებლად;
- კომპლექსური დავალებები დისტანციური სწავლებისას.

შეფასების სისტემა

პასუხისმგებელი: ნ. ქათამაძე, სიტუაციურ ლიდერებთან ერთად.

- შეფასების სისტემა მესამე თაობის ე.ს.გ. საინფორმაციო შეხვედრების დაგეგმვა კათედრებზე;
- კომპლექსური დავალებების შედგენისა და გამოყენების ეფექტიანობის შესწავლა თვითშეფასებით და წარმატებული გამოცდილების გაზიარება;
- შიდა სასკოლო კონფერენციის ორგანიზება თემაზე: „მოსწავლეთა შეფასების გამოყენება მიღწეული შედეგების გაუმჯობესებისათვის“;
- კათედრების მიერ შემაჯამებელი დავალებების ანალიზის გამოყენება უკეთესი შედეგების მისაღწევად(შეფასების ფორმა- შედეგი- გაუმჯობესების გზები).

სააღმზრდელო საქმიანობა

პასუხისმგებელი: ნ. ქათამაძე

- სადამრიგებლო საათის ჩატარების ორგანიზება.
- სადამრიგებლო საათისადმი მოსწავლეთა დამოკიდებულების კვლევა. კვლევის შედეგების გამოყენება განვითარებისთვის.
- სასწავლო პროცესში დაგეგმილი და განხორციელებული სააღმზრდელო მიზნები და აქტივობები (დაკვირვება სასწავლო პროცესზე).

სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის ხარისხის შესწავლა

- კვლევები- მშობელთა კმაყოფილება/ უკმაყოფილებაზე და შედეგების გამოენება გასაუმჯობესებლად;
- მშობელთა ჩართულობა სასკოლო ღონისძიებებში, პროექტებსა დ ასხვა მომართულებით

გაკვეთილ გარეშე საქმიანობა

პასუხისმგებელი: ნ.შუშანიძე

- საგნობრივი წრეების მუშაობის ეფექტიანობის ხარისხი(მოსწავლეთა შეფასება).
- ექსკურსიების დაგეგმვა- საგანმანათლებლო მიზნები, უსაფრთხოება.

დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება

პასუხისმგებელი: გ. ჭუმბურიძე

- ლოგიკის სწავლება- სააზროვნო უნარების განვითარების ხელშეწყობა.
- დამატებითი საგნობრივი სწავლება- ძლიერი და სუსტი მხარე.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარება

- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საჭიროების კვლევა(რომელ ტრენინგზე არიან დარეგისტრირებულნი, რომელი ტრენინგის გავლა სურთ, რომელი ტრენინგი გაიარეს).
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამის შემუშავება(იხილეთ პროგრამა)

დაგეგმვა მიღწეული შედეგების გათვალისწინებით

- მოსწავლეთა სასკოლო კონფერენციის დაგეგმვა და განხორციელება.
- უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ კონფერენციებში მონაწილეობა;
- ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული საქმიანობის შეფასება მასწავლებლებისაგან, მოსწავლეებისაგან, მშობლებისაგან;
- ხარისხის უზრუნველყოფის, ახალი პრიორიტეტების და მიმართულებების განსაზღვრა მომავალი სასწავლო წლისთვის.

გაცემული დავალებების , ინფორმაციების შეგროვების აღრიცხვის ფაილი

ანგარიშგების ფორმა

ინფორმაციის დასახელება	ვის ეგზავლება	ინფორმაციის შინაარსი	ფორმის წარმოდგენის დრო	მოცულობა	ვინ აწვდის რა ფორმით	წარმოდგენის აღრიცხვა შენახვის ადგილი
ონლაინ სწავლებასთან დაკავშირებით ანგარიშის წარმოდგენა.	საგნის მასწავლებელს	წარმოადგინეთ ანგარიში ონლაინ სწავლებასთან დაკავშირებით 15-25 სექტემბრის მონაცემებით. აღნიშნეთ ონლაინ მისაწვდომობა , შეფერხებები და მისი გათვალისწინება, სწავლა /სწავლების მეთოდები, შეფასების ფორმა. ძლიერი და სუსტი მხარე, რა გამოცდილება შეგძინათ.	წერილობითი, 30 სექტემბერი, ნებისმიერ დროს ელ.ფოსტით.	არა უმეტეს 1 გვერდისა	ირა აბულაძე ელ.ფოსტით . ira.abuladze81@gmail.com	შემოვიდა 28 -29 სექტემბერი. ინახება სპეციალურ საქაღალდეში

ინფორმაციის დასახელება	ვის ეგზავლება	ინფორმაციის შინაარსი	ფორმის წარმოდგენის დრო	მოცულობა	ვინ აწვდის რა ფორმით	წარმოდგენის აღრიცხვა შენახვის ადგილი
კონკურსი ,, ვწერ თავისუფალ თემას“.	საგნის მასწავლებელს	წარმოადგინეთ თქვენი კლასებიდან 1 მოსწავლე ჰუმანიტარული ნიჭით დაჯილდოებული მეათე - მეთორმეტე კლასებიდან. 12 ოქტომბრის	წერილობითი , 12-ოქტომბრის ჩათვლით, ნებისმიერ დროს ელ.ფოსტით.	არა უმეტეს 1 გვერდისა	ირა აბულაძე ელ.ფოსტით. ira.abuladze81@gmail.com	შემოვიდა 13 ოქტომბერს ინახება სპეციალურ საქაღალდეში

		ჩათვლით წარმოადგინეთ შერჩეული მოსწავლის სახელი გვარი.				

სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასების მეთოდოლოგია.

პასუხისმგებელი სკოლის ლიდერები, ხარისხის მართვის კოორდინატორი

ძირითადი პრინციპებია:

თვითშეფასება -დაგეგმვა- განხორციელება-შეფასება -გადახედვა

შეფასების პრინციპები:

- არსებული ვითარების ანალიზის საფუძველზე განვითარების გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნების განსაზღვრა;
- მიზნობრივად გამოყენება მეთოდებისა და ფორმებისა.

ა) თვითშეფასება; ბ) რეკომენდაცია; გ)ანგარიში; დ) რეკომენდაცია;

ე) რჩევა; ვ) კომენტარი; ზ) უკუკავშირი

- განვითარების დაგეგმვაში თანამშრომლობა;
- განხორციელებული საქმიანობის გაუმჯობესებული დონის შეფასება;
- განვითარების ეფექტიანობის შეფასება: სარგებელი მოსწავლეს, სარგებელი მშობელს, სარგებელი მასწავლებელს, სარგებელი სკოლას.
- შეფასებისას კეთილგანწყობილი და წამახალისებელი გარემოს შექმნა.

შეფასების პერიოდულობა:

- შეფასების პერიოდულობა განისაზღვრება საჭიროებების მიხედვით. ისე, რომ არ მოხდეს გადატვირთულობა, არ იყოს ერთჯერადი;
- შეფასების პერიოდულობა ითვალისწინებს განმეორებად შეფასებას პირველი შეფასებიდან გონივრული ვადის განსაზღვრით;
- ყოველი სემესტრის ბოლოს ხდება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების შედეგების შეფასება;
- სასწავლო წლის დასასრულს შეჯამდება გაწეული მუშაობა;

- შეფასების დაგეგმილი პერიოდულობის(კათედრების, პპროგრამების) დაცვაზე მონიტორინგს განახორციელებს ი. აბულაძე;

შეფასების საგანი:

- შეფასების საგანი არის სასწავლო პროცესი, სასწავლო გარემო;

შეფასების შედეგების გამოხატვის ფორმები:

- სტატისტიკური და ციფრობრივი მონაცემები;
- სკოლის, კლასის საჭიროებების კვლევის შედეგები;
- მოსწავლეთა საჭიროებების კვლევის შედეგები;
- მასწავლებელთა საჭიროებების კვლევის შედეგები;
- მოსწავლეთა მშობლების კმაყოფილების კვლევის შედეგები;
- დაკვირვების ჩანაწერები;
- უკუკავშირის ჩანაწერები;
- რეკომენდაციის ჩანაწერები;
- რჩევების და სურვილების ჩანაწერები;
- პროგნოზირება და დიაგნოსტიკა.

განვითარების დაგეგმვის პროცესში მონაწილეობის პრინციპები:

- დაგეგმვის მონაწილეობის პროცესში ჩართვის უფლება აქვს ყველა მსურველს, რომელსაც ეხება დაგეგმვა;
- მონაწილეობა არ არის აუცილებელი და იძულებითი, იგი კეთილმოსურნეობის და მხარდაჭერის გამომხატველია
- დაგეგმვის განხილვა, მიღებისთვის პოზიციის, მხარდაჭერის გამოხატვა შეუძლია ყველას, მიუხედავად იმისა, იღებდა თუ არა დაგეგმვაში მონაწილეობას.
- დაგეგმვის შესრულების მონიტორინგი ხორციელდება კრიტერიუმების განსაზღვრით, პერიოდულად საჭიროებების მიხედვით.;
- დაგეგმვაში ცვლილების შეტანა დასაშვებია საჭიროებებიდან გამომდინარე;
- დაგეგმვისას გასათვალისწინებელია ლიდერის თვისებები: საკითხის ცოდნაში, კომპეტენტურობაში, სიახლეებისადმი ღიაობა. მომავლის ხედვის უნარი, შედეგების მიღწევის ორგანიზება, პასუხისმგებლობა;
- დაგეგმვით მიღწეული შედეგების ანალიზი და გაზიარება

განმავითარებელი შეფასების საგაკვეთილო პროცესში გამოყენების შესახებ

მასწავლებლების ანგარიშების შეფასება

ხარისხის

მართვის კოორდინატორი ნანული ქათამაძე

ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში მნიშვნელოვანია დიდი ყურადღება დაეთმოს განმავითარებელი შეფასების საგაკვეთილო პროცესში გამოყენებას. საგნის მასწავლებლებმა წარმოადგინეს განმავითარებელი შეფასების საგაკვეთილო პროცესში გამოყენების შესახებ ანგარიში.

ანგარიშების შეფასება:

ანგარიშების შეფასებაში აღნიშნულია, რომ განმავითარებელი შეფასება მიზნობრივად არის გამოყენებული და ითვალისწინებს მოსწავლეთა სწავლის შედეგების გაუმჯობესებას. აღსანიშნავია რჩევა, განმავითარებელი კომენტარის მიცემა, რა თქმა უნდა , წერილობით, როგორც მასწავლებლისგან. ის ასევე თვითდაკვირვება-მოსწავლისგან თვითშეფასების ცხრილის შევსება წერილობით. წერილობითი უკუკავშირი არის საუკეთესო ბარათი მოსწავლის სწავლის წინსვლას რომ ადევნოს თვალი მასწავლებელმა.

უკუკავშირის გაცემა უნდა იყოს მრავალმხრივი. გამოიკვეთა, რომ პედაგოგებმა უნდა გაითვალისწინონ ეს და განმავითარებელი უკუკავშირის გაცემისას მოსწავლეს სოციალურ-ემოციურ უნარების განვითარებაში დაეხმარონ, რაც მოცემულ ანგარიშებში არაა გათვალისწინებული.

რა გაითვალისწინეს რეკომენდაციების მიღების შემდეგ:

- განმავითარებელი შეფასება გახადეს მოსწავლისათვის სწავლის მამოტივირებელი;
- განმავითარებელი შეფასება არის რჩევა კონკრეტული მიმართულებით, რაც მოსწავლეს უადვილებს მის აღქმას;
- მასწავლებლებმა დაიწყეს მოსწავლეთა სოციალურ-ემოციური უნარების განვითარებისათვის ზრუნვა.

მასწავლებელთა თვითშეფასება მესამე თაობის ე.ს.გ. დანერგვასთან მიმართებაში

ანგარიშების შეფასება

2021-2022 სასწავლო წელს პედაგოგების, მოსწავლეებისა და საერთოდ სკოლისათვის ერთ-ერთ სიახლეს წარმოადგენს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა. მასწავლებლების უწყვეტი განვითარების პროგრამა აქტიურად ხორციელდება. ტარდება ტრენინგები და ონლაინ სივრცეში შექმნილია პედაგოგთა როგორც პროფესიული, ისე საგნობრივი ჯგუფები. აქ პედაგოგები ქვეყნის მასშტაბით ერთმანეთს სემინარებით უზიარებენ გამოცდილებას. ამ ჯგუფებში ჩართულნი არიან საგნობრივი ექსპერტებიც, კოვიდ პანდემიის გამო ონლაინ ჯგუფებმა ხელი შეუწყო პედაგოგთა აზრთა გაცვლას. ეს შეეხო ახალ მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმასაც.

ანგარიშების შფასება:

ჩვენი სკოლის პედაგოგებიც აქტიურად ერთვებიან განათლების სისტემის სიახლეებში და ახალ გამოწვევებს არ უფრთხიან. მათ წარმოადგინეს ანგარიშები ახალ ე. ს. გ-თან დაკავშირებით. პედაგოგებმა განსაკუთრებით ხაზი გაუსვეს კომპლექსური დავალებების შედგენას. მის მნიშვნელოვან მხარეს, რომ კომპლექსური დავალება მთლიანად მოიცავს მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარებას.

საგულისხმოა კომპლექსური დავალების შედგენამდე მასწავლებელმა შეადგინოს თემატური მატრიცა. საწყის ეტაპზე, როგორც პედაგოგები აღნიშნავენ, გაუჭირდათ მისი შედგენა, მაგრამ, როცა გაერკვნენ ცნებების, ქვეცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების არსში, მერე მარტივად შეადგინეს თემატური მატრიცა და დაგეგმეს კომპლექსური დავალებები. მასწავლებლები აღნიშნავენ ახალი ე. ს. გ. მიხედვით დაწყებით და საბაზო საფეხურზე სტანდარტის გამთლიანებით შედეგების უფრო ლოგიკურად წარმოჩენის შესაძლებლობას.

სიახლეა სოლო ტაქსონომიით შეფასება. განმავითარებელი კომენტარის წერილობით მიცემა არ არის სიახლე, თუმცა კომპლექსურ დავალებაზე განმავითარებელი კომენტარის გაკეთება მნიშვნელოვანია, რადგან მთლიანობაში აჯამებს მოსწავლის მიღწევის დონეს ახალ დონეზე გადასასვლელად.

ანგარიშებმა აჩვენა, რომ მასწავლებელთა ორიენტაცია არის მიმართული კომპლექსური დავალებების შედგენაზე. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ჯერ შექმნან თემატური მატრიცები და ამოსავალი იყოს ე. ს. გ. სტანდარტით მისაღწევი შედეგები.

რა გაითვალისწინეს პედაგოგებმა რეკომენდაციის გაცემის შემდეგ:

- პირველ რიგში შეადგინეს თემატური მატრიცები;
- ერთმანეთს გაუზიარეს გამოცდილება.

მასწავლებელთა თვითშეფასება მესამე თაობის ე.ს.გ. დანერგვასთან მიმართებაში

თვითშეფასება მესამე თაობის ე.ს.გ. დანერგვასთან მიმართებაში

ახალი ე.ს.გ. სიახლეები მართალია სირთულეს არ წარმოადგენს, მაგრამ თემატური მატრიცის შედგენა გამოწვევა იყო ჩემთვის, თუმცა , ვფიქრობ, ამას თავი კოლეგებთან გასაუბრებით მარტივად გავართვი თავი. ეროვნული სასწავლო გეგმის მესამე თაობის მოთხოვნების შესაბამისად მიზნად დავისახე სასწავლო პროცესში დავნერგო კომპლექსური დავალებები. მოსწავლეებს მივეცი რამდენიმე დავალება, რომელიც შეასრულეს დამოუკიდებლად. დავალების შეფასების შემდეგ გამოვლინდა, რომ მოსწავლეებმა საკმაოდ კარგად გაართვეს თავი, დავალების პირობას და მის შესაბამისად ეტაპობრივად განახორციელეს დავალება. დადებითი მხარე არის მოსწავლე დავალებას ასრულებს ინდივიდუალურად, რაც მასწავლებელს აძლევს საშუალებას მარტივად შეაფასოს მოსწავლე, გაიგოს რა გამოუვიდა კარგად, რაში ჭირდება დახმარება, რომ მომდევნო აქტივობები დაგეგმოს შესაბამისად. ვფიქრობ, დავალების შესრულების დროს კარგი იყო კომპლექსური დავალების პირობა, რომელიც ბავშვს აძლევდა საშუალებას დავალების შესრულებისას მინიჭებული თავისუფლება , თუ როგორ შეასრულებდა დავალებას (დახატავდა, აღწერდა, ფოტო-მასალას, Power Point-ით, მაკეტის დამზადება) წარმოადგენდა. ასეთი მიდგომით მოსწავლეებმა შემოქმედებითად მიუდგნენ დავალების შესრულებას. გამოამჟღავნეს შემოქმედებითი უნარი და შესრულებული დავალება გამოვიდა მრავალფეროვანი. ფაქტობრივად მოსწავლეებმა შექმნეს მუზეუმი . დავალების პრეზენტაციისას შეიქმნა სასიამოვნო პროცესი (თავი წარმოვიდგინეთ როგორც მუზეუმში). მოსწავლეები აქტიურად და მოტივირებულად იყვნენ ჩართული მთელი პრეზენტაციის დროს.

დავალების შესრულების დროს გამოვლინდა გარკვეული ხარვეზი: თავიდან მოსწავლეებმა ვერ გაიგეს მიწოდებული დავალების ინსტრუქცია და დავალების შესრულება დაიწყეს არა სწორად თუმცა შუალედური მორიტორინგის დროს ბავშვებს თავიდან განვუმარტე დავალების ინსტრუქცია და თავიდან მოუწიათ დავლების გარკვეული

ნაწილის შესრულება. დავალების ერთერთი ხარვეზი იყო დავალება რაოდენობრივად ბევრი იყო შესასრულებელი რამაც ბევრი დრო წაიღო და ცოტა მომეჩვენა დამღლელი აღმოჩდა მოსწავლეებისთვის. ასევე ყველამ ვერ შეძლო დავალების სრულყოფილად შესრულება.

მომდევნო კომპლექსური დავალებების დროს ვაპირებ ჩემი დაკვირვების შედეგად გამოვლენილი ხარვეზები აღარ გამოვლინდეს და დავალება მივცე შემცირებული. თვითმონიტორინგს განვახორციელებ მომდევნო კომპლექსური დავალების შესრულების შემდეგ.

ვთვლი, რომ ჩემს მიერ განახლებული დაგეგმვით ჩატარებულ სასწავლო პროცესი კოლეგების გავაცნო , მოვიწვიო კომპლექსური დავალებების პრეზენტაციის დროს, კოლეგის მიერ მოცემული უკუკავშირი გავითვალისწინო შემდეგი პედაგოგიური საქმიანობაში.

მასწავლებელს თვითშეფასება ეხმარება ახალი მეთოდების და მიდგომების დანერგვაში, დაინახოს დადებითი და უარყოფითი შედეგები და საჭიროების შემთხვევაში აღმოფხვრას დროულად.

ისტორიის წამყვანი მასწავლებელი მელანო ზოიძე.

ახალი ე.ს.გ სტანდარტის მიხედვით

რეფლექსია

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, საბაზო საფეხურის ბიოლოგიის საგნის სწავლებაში გამოიყოფა სამი მიმართულება:

- ცოცხალი სამყარო- გულისხმობს ბიოლოგიის ძირითადი კონცეფციებისა და კანონზომიერებების გააზრებას; გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების მნიშვნელობის მიმართ დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის ა, მისი დაცვისა და მნიშვნელობის გაცნობიერებას.
- მეცნიერული კვლევა-ძიება- გულისხმობს მოსწავლის ჩართვას მარტივი ექსპერიმენტების, ცდების დაგეგმვასა და განხორციელებაში.
- მეცნიერება და ტექნოლოგიები-გულისხმობს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების გამოყენებითი ასპექტების აღქმას; საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და ტექნოლოგიების მიღწევების გავლენის გაცნობიერებასსაზოგადოებასა და გარემოზე, მნიშვნელოვანი სამეცნიერო აღმოჩენების შეფასებას, გააზრებას, რომ მეცნიერული შეხედულებები და მოსაზრებები ვითარდება და შეიძლება შეიცვალოს დროთა განმავლობაში.

ბიოლოგიის სწავლა-სწავლება მიზნად ისახავს, მოსწავლეს:

- გაუჩნდეს ინტერესი ცოცხალი სამყაროს შესწავლის მიმართ;
- შეძლოს ბიოლოგიური კანონზომიერებების გაანალიზება;
- შეძლოს ორგანიზმში და გარემოში მიმდინარე ბიოლოგიური პროცესების ურთიერთდაკავშირება;
- გამოუმუშავდეს კვლევითი უნარ- ჩვევები
- ჩამოუყალიბდეს გარემოს მიმართ მზრუნველი დამოკიდებულება; გაანალიზოს ჯანმთელობისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის მნიშვნელობა;
- შესძინოს დარგობრივი ენით ოპერირების უნარი.

ე.ს.გ-ს ვიყენებ ყველა კლასში, გეგმისა და ცალკეული პარაგრაფის შესწავლის დროს. მეტნაკლებად ვიცნობ და ვეცნობი სხვადასხვა გაკვეთიების დაგეგმვისას. განსაკუთრებით გამიჭირდა კომპლექსური დავალებების ძირეულად გაკეთება. ასევე ახალი გეგმის შესაბამისად განსაკუთრებით აქტიურად ვიყენებ „სოლო ტაქსონომიით შეფასებას“, რაც მაძლევს საშუალებას ინდივიდუალურად, ყველა კომპონენტის გათვალისწინებით სევაფასო მოსწავლე. საჭიროდ მიმაჩნია ტრენინგის გავლა ან კოლეგებთან გამოცდილების გაზიარება, უკეთ ათვისებისა და გამოყენების მიზნით.

ბიოლოგიის წამყვანი მასწავლებელი ნინო ბერიძე

განმავითარებელი შეფასების საგაკვეთილო პროცესში გამოყენების შესახებ

მასწავლებლების ანგარიშების შეფასება

ხარისხის მართვის კოორდინატორი ნანული ქათამაძე

ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში მნიშვნელოვანია დიდი ყურადღება დაეთმოს განმავითარებელი შეფასების საგაკვეთილო პროცესში გამოყენებას. საგნის მასწავლებლებმა წარმოადგინეს განმავითარებელი შეფასების საგაკვეთილო პროცესში გამოყენების შესახებ ანგარიში.

ანგარიშების შეფასება:

ანგარიშების შეფასებაში აღნიშნულია, რომ განმავითარებელი შეფასება მიზნობრივად არის გამოყენებული და ითვალისწინებს მოსწავლეთა სწავლის შედეგების გაუმჯობესებას. აღსანიშნავია რჩევა, განმავითარებელი კომენტარის მიცემა, რა თქმა უნდა , წერილობით, როგორც მასწავლებლისგან. ის ასევე თვითდაკვირვება-მოსწავლისგან თვითშეფასების ცხრილის შევსება წერილობით. წერილობითი უკუკავშირი არის საუკეთესო ბარათი მოსწავლის სწავლის წინსვლას რომ ადევნოს თვალი მასწავლებელმა.

უკუკავშირის გაცემა უნდა იყოს მრავალმხრივი. გამოიკვეთა, რომ პედაგოგებმა უნდა გაითვალისწინონ ეს და განმავითარებელი უკუკავშირის გაცემისას მოსწავლეს სოციალურ-ემოციურ უნარების განვითარებაში დაეხმარონ, რაც მოცემულ ანგარიშებში არაა გათვალისწინებული.

რა გაითვალისწინეს რეკომენდაციების მიღების შემდეგ:

- განმავითარებელი შეფასება გახადეს მოსწავლისათვის სწავლის მამოტივირებელი;
- განმავითარებელი შეფასება არის რჩევა კონკრეტული მიმართულებით, რაც მოსწავლეს უადვილებს მის აღქმას;
- მასწავლებლებმა დაიწყეს მოსწავლეთა სოციალურ-ემოციური უნარების განვითარებისათვის ზრუნვა.

ქართული ენისა და ლიტერატურის წამყვანი მასწავლებლის

ანგარიში

განმავითარებელი შეფასების გამოყენება

2021-2022 სასწავლო წელს მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასებისას ეროვნული სასწავლო გეგმის სისტემას ვითვალისწინებ და შეფასების მოთხოვნები შესაბამისად საგნობრივ სტანდარტებს შევუსაბამე. აღნიშნული შეფასებით ვაფასებ მე-5 დაშემდეგომი კლასის მოსწავლეებს განმსაზღვრელ შეფასებასთან ერთად

განმავითარებელი შეფასება, რომელსაც ყოველთვის ვიყენებდი, ამჟამად მართლაც იქცა სწავლების დაწყებითსაფეხურზე თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკის საზომად და მოსწავლის სწავლის ხარისხის მუდმივი გაუმჯობესებისა და განვითარების საშუალებად ჩემთვის ასეა და ამ პათოსით ვმუშაობ. პრაქტიკამ მაჩვენა, რომ მოსწავლეებს იმ დავალების შესაბამისი ფორმებით უნდა შეუფასო წერილობით და ზეპირი დავალება, რომელიც მიუთითებ, რომ საშინაო დავალების შესასრულებლად გაეთვალისწინებინა. გასულ წელს, როცა უკვე მეორეჯერ დავიწყე მეხუთეკლასელთა სწავლება, ჩამოვაყალიბე განმავითარებელი შეფასების წინადადებები, რომლებიც გავუზიარე კოლეგებს განხილვისათვის. მისი საბოლოო სახისათვის გავითვალისწინე მასწავლებელი რა აბულაძის რჩევა, რომ V -VI კლასის მოსწავლეებისათვის უფრო დამაზუსტებელი მათთვის გასაგები ფორმები დამემატებინა წარმოგიდგენთ ჩემეული ასეა თქმა უნდა, არასრული განმავითარებელ შეფასებას:

1. **მკაფიოდ დასაინტერესებელ საკითხებს;**
2. **კარგად დახასიათებული პერსონაჟი /პერსონაჟები/;**
3. **მსჯელობა დამაჯერებლად**
4. **განასხვავებ დადებითად აუარყოფითი პერსონაჟებს ქცევის მიხედვით;**
5. **უსმენს სხვებს და ეს ძალიან კარგი თვისებაა;**
6. **კარგად გაიზრდა შეასრულა მოცემული დავალება;**
7. **კარგად დაგიხატავს და გადმოგიცია პერსონაჟის თვისებები;**
8. **კარგად შეადარა ნაწარმოებები...**
9. **შენი დავალება სრულყოფილია;**
10. **სერიოზულად მოეკიდა დავალების შესრულებას;**
11. **კარგად გაცნობილხარ და ასათვინად იყენებ დამატებით საკითხავ მასალას;**
12. **სწორად შეაფასე საკუთარი დასხვისი ცოდნა;**

გავითვალისწინე რჩევა, რომ განმავითარებელი შეფასება გულისხმობს მოსწავლეთა მუშაობის შეფასებას, შექებას, გამხნევებას, ამასთანავე რჩევა, რომ მოსწავლე **დაფიქრდეს, გაითვალისწინოს, კარგად გააანალიზოს, შეადაროს მოგონებები, იკითხოს დამატებითი ნაწარმოებები,** რათა არ დაუშვას შეცდომები ან დაშვებული გამოასწოროს. ამისათვის აღნიშნულ წინადადებებს დასაწყისშივე მატებ აქ დაშიფრულ სიტყვებს. მაგ. **გირჩევ, რამდენჯერმე დაკვირვებით წაიკითხოგაკვეთილს მასალა;**

განმავითარებელი შეფასების ეს ფორმა რამდენიმე გაკვეთილის შემდეგ გავაცანი მოსწავლეებს, აქვე მათთვის გასაგებად მივუთითებ, რომ ეს შეფასება ესადაგება სტანდარტს ანუ რა უნდა ესწავლა და შეისწავლა ამ მასალათ დღესმომდევნო გაკვეთილის ახსნის შემდეგ მოსწავლეებს ვაწერინებ ამ პუნქტების ციფრებს. მათუკვე იციან, რომელი საკითხის მიხედვით შევაფასებ ძირითადადთუმცა აქ გათვალისწინებული მაქვს მოდიფიცირებაც. განმავითარებელი შეფასებისას მშვიდად სასიამოვნო ტემბრითვუსტებ მოსწავლეს, რა შეძლო დღესრის შესწავლა დასჭირდებარათა უკეთესად იაზროვნოს, წეროს. მთავარია, მოსწავლეებს ვუნერგავ შრომისმოყვარეობასა და პასუხისმგებლობას, ვაგრძნობინებ ნდობას და მივახვედრებ, რომ მათგან მოველი სწავლის გაუჯობესებას წარმატებამდე. წარმატებამდე მიმავალ გზაზე სხვა აუცილებელ უნარჩვევებიდან მეხუთე კლასშიც განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევ მოსწავლების გამართულად კითხვასა და სწორწერას, სწავლის დაწყებისთანავე კალიგრაფიის დახვეწაზე მუშაობის შემდეგ შესამჩნევად გააუჯობესეს წერა, ვმუშაობთ სწორ კითხვაზე, მაგრამ ვცდილობ მშობლები ამ მხრივ მეტადდავიხმარო.

ყოველ გაკვეთილზე შეფასების სათანადო კრიტერიუმებს ვიყენებ, რომელიც აუცილებლადგაკვეთილის თემისადა მისაღწევი შედეგების გაცნობისთანავე ვაცნობ მოსწავლეებს. ვაფასებ სხვადასხვა სახის მხატვრული დაარამხატვრული ტექსტების გააზრება, გაანალიზება, შეფასებას. ტექსტების ინტერპრეტირებასა და ტექსტების შედარებით ანალიზს, თხრობამსჯელობას. სხვადასხვა სახის ტექსტების შეთხზვას, ზეპირი გამოსვლისა და პრეზენტაციას. მოსწავლის შემოქმედებითობას. სასწავლო სტრატეგიების გააზრებულად გამოყენებას. პროექტის შედეგენას დამოუკიდებლადან მეწყვილესთან ერთად დასხვა.

განმავითარებელ შეფასებამდე მისასვლელ გზად მიმაჩნია კლასში შექმნილი სასწავლო გარემოსწავლის მოტივაციის ამამაღლებელი, დამაინტერესებელი სასწავლო რესურსებიუახლეს ხანებში 5,6,7 კლასებში გაკვეთილისთვის გამოვიყენე პერსონაჟის შედარებისა და მათი თვისებების ჩასაწერი კოგნიტური სქემები. უდავოა, შედარებით ხალისით მუშაობენ და უკეთესად დაიმახსოვრეს მასალა. სქემას გამოვაყენებინებ სხვა აქტივობებშიც. 5 კლასის მოსწავლეთა უნარებისა და ცოდნის გამოვლენასა და უკეთშეფასებაში დამეხმარა მოძრავი აქტივობა „სცენა“.

„სცენის“ სტენდზე „მე შევისწავლე“ ფერადი ფურცლების ჯიხაკებიდან მოსწავლეები იღებენ კითხვებს და პასუხობენ,პასუხის შემდეგ მე ვუჩვენებდი განმავითარებელი შეფასების ამსახველ დადებით ემოციის შემქმნელ წარწერებს:“ყოჩაღ!“,“საინტერესო პასუხია!“,“კარგად აზროვნებ!“,“დღეს კლასის ლიდერხარ!“ და ა.შ. ამ შემთხვევაში აქტივობა შეესაბამება სტანდარტს

ქართული(II) 1,2,3,6,7-ს.

მინდა მე-7 კლასის გაკვეთილის მაგალითი მოვიყვანო,როგორ ჩავრთე მოსწავლეები საგაკვეთილო მასალის უკეთ შესწავლის გზის ძიებასა და მიზნის მიღწევაში.

მოსწავლეებს შევთავაზე პრეზენტაცია თემაზე“რა შეუძლია ლექსებს“,დავსახე გაკვეთილის მიზანი:სალექსო მეტყველების თავისებურებების გაანალიზება და ლექსებში მთავარი სათქმელისა და დედააზრის ამოცნობა.

მოსწავლეებს ვკითხე,რა ცოდნაზე დაყრდნობით მსჯელობენ დაროლს ჩათვლიან მიზანს მიღწეულად

გადავავლეთ გონების თვალი ადრე და წელს შესწავლილ საკითხებს რუბრიკაში „ჩვენი ემოციები“ და ჩამოვაყალიბეთ

--აქვთ ინფორმაცია ლექსის მახასიათებლებზე;

--შეუძლიათ გააცოცხლონ პოეტის მიერ დახატული სურათები.

--ლექსის წერა დწაკითხვით შეიცნონ სათქმელის აზრი;

-- ამოიცნონ მასში ნაცნობი განცდა,აღმოაჩინონ ახალი.

--შეუძლიათ საკითხზე მსჯელობა დამოსაზრების გამოთქმა;

მსჯელობაში გამოიკვეთა საკვანძო კითხვა:როგორ გადმოსცემენ ლექსები მწერლისა და ეპოქის სათქმელს.

ვიმსჯელეთ აგრეთვე განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმებზე და ჩამოვაყალიბეთ:

--არსებულ ცოდნაზე დაყრდნობით ლექსის მახასიათებლების ანალიზი;

--ინფორმაციის მოპოვება და შეჯერება;

--პრეზენტაცია;

აქვე გავაცანი ესგ შესაბამისი სტანდარტები.

მოსწავლეთა წერით დავალებაში და პრეზენტაციაზე კარგად აისახა სალექსო მეტყველების თავისებურებების თეორიული ცოდნის გამოყენება ლადო ასათიანის,ომა წიკლაურის,ანა კალანდაძისა და ბესიკ ხარანაულის ლექსების გაანალიზებისას.მოსწავლეებმა ამ საკიხთან ერთად შეძლეს ლექსების დედააზრისა და მთავარი სათქმელის ამოცნობა.ამოკითხეს ლექსში ასახული ეპოქის მთავარი საკითხები.მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასებისათვის მიზანმიმართულად ჩატარებული და შედეგს მიღწეული გაკვეთილი მათი შემგომი წარმატებების საფუძველია.

მთავარია, მოსწავლეებმა იციან და ფიქრობენ,რატომ სწავლობენ,როდის და როგორ შეუფასდებათ მუშაობა,როგორ გაუზიარონ სხვებს თავისი ნასწავლი.

მერი დიასამიტ 28-10-2021 წელ.

ინგლისური ენის წამყვანი მასწავლებლის

ანგარიში

განმავითარებელი შეფასების გამოყენება გაკვეთილზე - თეონა გოგიტიძე

როგორც ვიცით მოსწავლის შეფასების მიზანია სწავლა-სწავლების ხარისხის მართვა, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას და, მეორე მხრივ, სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგს. მოსწავლის შეფასება არის სწავლა-სწავლების განუყოფელი ნაწილი. თანამიმდევრული საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად, მოსწავლის შეფასება უნდა დაეფუძნოს სწავლის კონსტრუქტივისტულ პრინციპებს.

იმისთვის, რომ შევაფასო სასწავლო პროცესი და თითოეული მოსწავლის საჭიროება, მონიტორინგი გავუწიო მათ პროგრესს, ხელი შევუწყო დამოუკიდებლობას და თანამშრომლობას, საგაკვეთილო პროცესში ხშირად ვიყენებ განმავითარებელ შეფასებას. ყველაზე ხშირად მაინც ვიყენებ **სიტყვიერ კომენტარს.** ეს უკუკავშირი მეხმარება სასწავლო მიზნების მიღწევაში, ასეთ დროს პირველ რიგში მოსწავლეს ვეუბნები თუ რა გამოუვიდა კარგად და შეცდომების არსებობის შემთხვევაში ვაძლევ რეკომენდაციას და მითითებებს ,თუ როგორ გააუმჯობესოს შედეგი. ერთ-ერთი მეთოდია **შეხსენება-თანმიმდევრული მითითებები** შედეგის გასაუმჯობესებლად. ანდა მოსწავლეს ვაძლევ დროს , რომ თვითონ იპოვოს შეცდომა და შეასწოროს. მაგალითად:
„ კარგია, რომ შეასრულე დავალება,
მაგრამ მე ვხედავ ერთ შეცდომას, კიდევ ერთხელ გადახედე ნამუშევარს.“
ხშირად ვსარგებლობ ასევე გაკვეთილის **მიზნებზე მორგებულ რუბრიკებს** და **თვითშეფასების რუბრიკებს.** ასევე დაუსრულებელ წინადადებებს:

დღეს მე ვისწავლე.....

1 რამ რაც ყველაზე კარგად დამამახსოვრდა....

მასწავლებელმა შემაქო, იმიტომ რომ...

დღეს ყველაზე კარგად გამომივიდა.....

დაფიქრდი - დაწყვილდი - გააზიარე- განმავითარებელი შეფასების ამ ინსტრუმენტს ვიყენებ ნებისმიერ დროს გაკვეთილის მიმდინარეობისას. ის შეიძლება უკავშირდებოდეს წინარე ცოდნის გააქტიურებას, ახალი მასალის შესწავლას ან რაიმე პრობლემური საკითხის გადაჭრას.ეს იმსტრუმენტი ხელს უწყობს თანამშრომლობითი უნარების განვითარებას.

გეოგრაფიის წამყვანი მასწავლებლის

ანგარში

განმავითარებელი შეფასება გამოყენებაგეოგრაფიის გაკვეთილზე

განმავითარებელი შეფასებისათვის ხშირად ვიყენებ კოგნიტურ სქემებს, მათ შორის გამოვოფდი სქემას: ვიცი, ვისწავლე, მინდა ვიცოდე.

აღნიშნული სქემას ვიყენებ ნასწავლი მასალის შეჯერების, გამეორებისა და ცოდნის განმტკიცების მიზნით.

სამუშაო სრულდება ინდივიდუალურად დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, თუმცა მისი გამოყენება შეიძლება წყვილებსა და ჯგუფებშიც. ფურცელი ან დაფა იყოფა 3 ვერტიკალურ გრაფად,რომელშიც ვწერთ:,,ვიცოდი, ვისწავლე,მინდა ვიცოდე“

ვიცოდი	ვისწავლე	მინდა ვიცოდე

მოსწავლეებს ვუხსნი მოკლედ მოცემული ამოცანის შესახებ და თუ საჭიროა ვუსვამ მაპროვოცირებელ კითხვებს. ამის შემდეგ მოსწავლეები თანმიმდევრობით ავსებენ სამივე გრაფას: გრაფაში ,,ვიცი“ წერენ ყველაფერს რაც მათთვის ცნობილია ამ საკითხთან დაკავშირებით. გრაფაში ,,ვისწავლე“ წერენ იმას რაც შეიტყვეს ახლა ამ საკითხთან დაკავშირებით. რაც შეეხება გრაფას ,,მინდა ვიცოდე“ წერენ იმას, რაც აინტერესებთ ამ საკითხთან დაკავშირებით.

ეს მეთოდი განსაკუთრებით კარგი და მოსახერხებელია ერთი რომელიმე კონკრეტული თემის შესაჯამებლად, განვლილი მასალის გასამეორებლად და ახალ ნასწავლთან დასაკავშირებლად, ანალიტიკური და კვლევითი უნარების განასვითარებლად.

გეოგრაფიის მასწავლებელი ნ. ქათამაძე

შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმების მონიტორინგი

2021 წლის 5 ოქტომბერი

ხარისხის მართვის კოორდინატორმა ლიდერ მასწავლებლებთან ერთად ჩაატარა შემაჯამებელი დავალებების მონიტორინგი 2021 წლის 5 ოქტომბერს.

მონიტორინგის შედეგები:

შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმა მკაფიოდ გამოხატავს შეფასების პრინციპების დაცვის მდგომარეობას. ეს ყველა საგანშია წარმოდგენილი. საგნის მასწავლებლები პასუხისმგებლობით მიუდგნენ საქმეს. წარმოდგენილი დოკუმენტაცია გაფორმებულია სათანადო წესით.

რეკომენდაცია განვითარებისთვის:

შემაჯამებელი დავალების ფორმაში შეფასების ორი დონე ვერ იძლევა სრულყოფილად გაზომვის შესაძლებლობას. სასურველია შევიდეს ცვლილება შეფასების დონეებში და მითითებული ,,კარგია" , ,,საჭიროებს გაუმჯობესებას" ჩანაცვლდეს სამ-დონიანი მახასიათებლით ,,შესაბამისია", ,,ნაკლებად შესაბამისია", ,,საჭიროებს გაუმჯობესებას".

კომენტარი იყოს მკაფიო და ხელს უწყობდეს მიღწეულის განვითარება - გაუმჯობესებას.

იანვარში ჩატარდება მონიტორინგი, რომლის მიზანი იქნება: დადგინდეს რეკომენდაციით განსაზღვრული ცვლილება, რით შეუწყო ხელი შემაჯამებელი დავალებების ანალიზის განვითარებას, ვისთვის დარჩა სასარგებლო.

სასურველია კომპლექსური დავალების შეფასების შემდეგ შეფასება საგნის მასწავლებელმა გააკეთოს თვითშეფასება, რომელიც მოიცავს: კომპლექსური დავალებების აღწერას, რა გამოუვიდა კარგად, რითაც შეძლო მოსწავლის მიღწეული შედეგების გაუმჯობესება და სასურველ შედეგზე გაყვანა, რა ვერ გამოვიდა ისე, როგორც დაგეგმა, როგორ ხედავს განვითარების , გაუმჯობესების გზას.

4.4

მასწავლებელთა საჭიროებების კვლევა

თვითშეფასების ცხრილი

მასწავლებელთა საჭიროებების დადგენისათვის

მუდმივად ცვალებად რეფორმებში სასარგებლოა საკუთარი პიროვნული განვითარების მიღწეული დონის განსაზღვრა და გაუმჯობესების გზების პოვნა, რომლის ხელმისაწვდომობისთვის გთავაზობთ მასწავლებელთ საჭიროებების დადგენის თვითშეფასების ცხრილს.

		დიახ	ნაწილობრივ	არა
1	კმაყოფილი ხართ თუ არა თქვენი პროფესიული მომზადებით?			
2	რომელი მიმართულებით ისურვებდით პროფესიულ განვითარებას?			
	• სამეცნიერო-თეორიული (საგნობრივი)			
	• მეთოდური			
	• ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური			
3	მიგაჩნიათ თუ არა მიზანშეწონილად გაიღრმაოთ თქვენი პროფესიული ცოდნა შემდეგ საკითხებზე :			
	• გრძელვადიანი (თემატური) დაგეგმვა			
	• მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა			
	• თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიების დანერგვა			
	• სწავლების ეფექტიანი მეთოდები და ხერხები			
	• კლასის მართვა			
	• სწავლების დიფერენცირება, ინდივიდუალიზაცია			
	• მოსწავლეთა და საკუთარი საქმიანობის შედეგების შეფასება და ანალიზი			
	• მოსწავლეთა სასწავლო - შემეცნებითი საქმიანობის ორგანიზება (კლასში და კლასს გარეთ)			
	• მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების კონტროლი და კორექცია			
	• მასწავლებლის საქმიანობის ორგანიზება			
	• კომპექსური დავალების შედგენა			

4	წარმოადგენს თუ არა თქვენთვის სირთულეს:			
	• თემატური მატრიცების შედგენა.			
	• მოსწავლეთა საქმიანობების ორგანიზება მიზნების მისაღწევად			
	• შემდეგი მისაღწევი საქმიანობების განვითარებისთვის მეთოდების შერჩევა			
	• პრობლემური საკითხების ფორმულირება/განსაზღვრა			
	• მოსწავლეთა კვლევითი საქმიანობის ორგანიზება გაკვეთილზე			
	• მოსწავლელთათვის სხვადასხვა სირთულის დავალებების მომზადება			
	• მოსწავლეთა მოტივაციისა და ჩართულობის უზრუნველყოფა			
	• მოსწავლეთა შორის თანამშრომლობის უზრუნველყოფა			
	• მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ორგანიზება			
	• მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების შემოწმება და განვითარება			
	• მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების განვითარება			
	• მოსწავლეთა წახალისების სხვადასხავ ფორმის შერჩევა და გამოყენება			
	• ინტეგრირებული თემების განსაზღვრა			
	• გაკვეთილისათვის სასწავლო რესურსების მასალების შერჩევა			
	• სასწავლო პროექტებზე მუშაობა			
	• სხვა (ჩაწერეთ)			
5	პროფესიული განვითარების რომელ ფორმას მიანიჭებდით უპირატესობას (დაალაგეთ ნომრები პრიორიტეტების მიხედვით და ჩაწერეთ მეორე სვეტში)?			
	1. თვითგანათლება 2. თეორიული სემინარები/ლექციები			

	3. ტრენინგები 4. ინდივიდუალური კონსულტაციები 5. პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა 6. გაკვეთილზე კოლეგის / კოლეგების დასწრება და კრიტიკულ-კონსტრუქციული ანალიზი 7. სკოლის ბაზაზე მესამე თაობის ე.ს.გ დანერგვის ლიდერთა ჯგუფებში მუშაობა 8. კათედრები			
6	თქვენრომ მოგცეთ პროფესიული განვითარების პროგრამის არჩევის შესაძლებლობა, რომელში მიიღებდით მონაწილეობას, რომელს მიანიჭებდით უპირატესობას (დაალაგეთ ნომრები პრიორიტეტების მიხედვით)?			
	1. მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები / განვითარებისა და სწავლის თეორიები 2. მოსწავლეებთან თანამშრომლობითი ურთიერთობის ფორმები და მეთოდები 3. თემატური მატრიცის ეფექტიანი გამოყენება 4. მოსწავლეთა კლასგარეშე სასწავლო-შემევნებითი საქმიანობის ორგანიზება 5. სწავლობუის მეთოდები და მათი ეფექტიანი გამოყენება (მათ შორის ციფრულისაც) 6. ინკლუზიური განათლება 7. სწავლების ინდივიდუალიზაცია 8. მოისწავლეთა სასწავლო-შემეცნებითი აკტივაციის ხერხები 9. მოსწავლეთა შეფასება (განმავითარებელი) 10. მასწვლებლის პროფესიული ეთიკა 11. სასწავლო პროცესის დიაგნოსტირება 12. კომპლექსური დავალებების შედგენა-გამოყენება			

	სხვა (ჩაწერეთ)			

განმარტება:

ამ ცხრილზე პედაგოგი ინდივიდუალურად მუშაობს. უღრმავდება საკუთარ საქმიანობას, აჯამებს სხვადასხვა მონაცემს (მაგალითად, მოსწავლეთა მ,იღწევებს, კოლეგების რეკომენდაციებს, ურთიერთდასწრების შედეგებს და ა.შ.). საბოლოოდ , შევსებული ცხრილის გადახედვა მას აძლევს სურათს სად რომელ სფეროში სჭირდება გაძლიერება. სწორედ ამის შემდეგ შეუძლია მასწავლებელს დაგეგმოს საკუთარი თვითგანვითარების პროცესი, გაეცნოს ლიდერთა ჯგუფს, განიხილონ, იმსჯელონ,გაიაზრონ სხვა ლიდერთა წევრების. საჭიროების ანალიზზს იყენებს ხარისხის მართვის კორდინატორი პროფესიული განვითარების დაგეგმვისათვის.

ჩატარებული გაკვეთილის რეფლექსიის საორიენტაციო შეკითხვები

- თემატური მატრიცითაა დაგეგმილი და რომელი აქტივობა/ აქტივობები იყო გაკვეთილზე ყველაზე წარმატებული და რამ განაპირობა ეს?
- რომელი აქტივობები ვერ განხორციელდა და რატომ? რომელი აქტივობების მოდიფიცირება მოხდა და როგორ?
- რა ხარვეზი გამოვლინდა გაკვეთილზე და რა იყო ამის მიზეზი?
- რას და როგორ გავითვალისწინებ მომავალში?
- ამ გაკვეთილს თაავიდან რომ ვგეგმავდე/ვატარებდე რას შევცვლიდი? პროფესიული განვითარების რომელ გზებს მივმართავ ამისთვის და რატომ იქნება ეს ეფექტური?

მასწავლებლის თვითშეფასების საორიენტაციო შეკითხვები

- რა სიახლეები შეიტანა მესამე თაობის ე. ს. გ. განხორციელების მიზნით სასწავლო პროცესში?
- რა გამოვიდა წარმატებული?
- რამ განაპირობა სასურველი შედეგი?

- რა ვერ გამოვიდა დაგეგმილის მიხედვით, რითბაიხსნება ეს?
- როგორ ფიქრობთ გაუმჯობესებას?
- ცვლილების შეტანის შემდეგ თვითმონიტორინგის განხორციელებას როდის აპირებს?
- თვლის თუ არა საჭიროდ განახლებული დაგეგმვით ჩატარებულ სასწავლო პროცესზე კოლეგების მიწვევას?
- როგორ ეხმარება თვითშეფასება საკუთარ პროფესიულ განვითარებაში?

დანართი#2

თვითშეფასების კითხვარის ნიმუში

კომპლექსური დავალების შესრულებასთან მიმართებაში

საგანი:

მასწავლებელი:

კლასი:

კომპლექსური დავალების მოკლედ აღწერა

1. რა გამოუვიდა კარგად, რამაც მოსწავლე შედეგზე გაიყვანა?
2. რისი დაძლევა გაუჭირდა მოსწავლეს?
3. დავალების შესრულების პროცესში რის საჭიროება წარმოიშვა?
4. რას შევცვლი, რას განვავითარებ?
5. დახმარება დამჭირდება თუ თვითონ გავუმკლავდები?
6. როდის ვგეგმავ თვითშეფასებით გამოვლენილის განვითარებას და გაუმჯობესებას ხარისხის შეფასებას?

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის მიზნით საგნობრივი თემატური გეგმის შედგენისათვის კათედრების მიხედვით შეიქმნა გუნდი, არჩეულ იქნა გუნდის ლიდერები.

- ქართული ენისა და ლიტერატურატურის კათედრა- წამყვანი მასწავლებელი: მერი დიასამიძე;
- მათემატიკა, საბუნებისმეტყველო, ისტ კათედრა- წამყვანი მასწავლებელი: ნინო გოგიჩაიშვილი;
- საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა- წამყვანი მასწავლებელი: მელანო ზოიძე;
- უცხოური ენების კათედრა- წამყვანი მასწავლებელი: თეონა გოგიტიძე;

- დაწყებითი საფეხურის კათედრა- იაგო დავითაძე.

ლიდერების სამოქმედო გეგმა:

1.საინფორმაციო შეხვედრები:

ა) მესამე თაობის ე.ს.გ. საგნობრივი სტანდარტები/ მიზნები/ ამოცანები;
ბ). საგნობრივი თემატური მატრიცების შედგენის რეკომენდაციები, ნიმუშების განხილვა;
გ) თემატური მატრიცის ნიმუშების გაცნობა, ელექტრონული რესურსები;

დ) კომპლექსური დავალებების პილოტირებული ნიმუშების გაცნობა - განხილვა;

2.თემატური მატრიცის ნიმუშების შედგენა, განხილვა გუნდში

1. თემატური მატრიცის ნიმუშების შედგენის გამოცდილების გაცნობა სხვა გუნდში;
2. თემატური მატრიცის შედგენა, კათედრაზე წარდგენა, დანერგვა, მონიტორინგი, განვითარება;
3. თემატური პროგრამის მოქმედების ეფექტიანობის შესწავლა;
4. წარმატებული გამოცდილების გაზიარება;
5. თემატური მატრიცის განხორციელების შედეგები და მისი გამოყენება სასწავლო პროგრამის ხარისხის ამაღლებისათვის.
6. კომპლექსური დავალების შედგენილი ფორმების განხილვა;
7. კომპლექსური დავალების გამოყენების შედეგების გაზიარება მოსწავლეთა თვითშეფასების საფუძველზე და განვითარების გზების განსაზღვრა;
8. კომპლექსური დავალებების შესრულებისადმი მოსწავლეთა დამოკიდებულებების კვლევა და შესაბამისი ცვლილებების განხორციელება;
9. კომპლექსური დავალებების საშინაო დავალებების შესრულებაზე გაცნობის შეწავლა;
10. თემატური მატრიცის ეფექტურობა საფეხურის დაძლევისთვის.

3. რეკომენდაციების, რჩევების, სურვილების, უკუკავშირის გათვალისწინებით მიღწეული შედეგები:

- **დიალოგი: ,,როგორი შინაარსის და ფორმის რეკომენდაცია, რჩევა უკუკავშირია სასარგებლო: წერითი, ზეპირი,**

კონკრეტული, განხორციელებადი, განვითარების ხარისხის გაზომვადი

- პირველი სემესტრის ბოლოს, მარტში და მაისში თვითანგარიშების მოსმენა ,,რაში ვხედავ ჩემს პროფესიულ წინსვლას.